

# 2021 წლის საინფორმაციო ფურცელი N3

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების განვითარებისა და გაძლიერების მხარდაჭერა  
საქართველოში

*Supporting Non-formal Adult Education Development and Strengthening in Georgia*

(პროექტი ხორციელდება გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო  
თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV International) საქართველოს ოფისის ფინანსური  
მხარდაჭერით)

## სარჩევი

1. ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	3
2. ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	5
3. ქედის სათემო განათლების ცენტრი	8
4. ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	9
5. კოდის სათემო განათლების ცენტრი	12
6. ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	15
7. ჯვარის სათემო განათლების ცენტრი	16



საქართველოს ზრდასრულთა განათლების ცენტრი  
Akhalttsikhe Adult Education Center

## ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

### III კვარტალი

ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრში DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით, ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში მიმდინარეობდა:

- ❖ გერმანული ენის კურსი
- ❖ ინგლისური ენის კურსი
- ❖ თურქული ენის კურსი
- ❖ ბუღალტერიის კურსი
- ❖ მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვის კურსი
- ❖ გიტარისა და ფანდურის შემსწავლელი კურსი
- ❖ კულინარიის შემსწავლელი კურსი
- ❖ კონდიტერიის შემსწავლელი კურსი
- ❖ საოფისე პროგრამების კურსი



- ✓ DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით აქტიურად მიმდინარეობს ახალციხისა და ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრების ერთობლივი პროექტი „ სწავლა კომიქსებით“. პროექტის ფარგლებში მომზადდება საგანმანათლებლო შინაარსის კომიქსები, რომლებიც დაინერგება ზრდასრულთა განათლების ერთ-ერთ მეთოდად და მოხდება მათი გამოყენება სწავლების პროცესში.

- ✓ DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით ახალგაზრდებთან ჩატარდა შემდეგი შეხვედრები: „ონლაინ გაყიდვები“, „პროფესიული ორიენტაცია“, „სტერეოტიპები და მათი გავლენა საზოგადოებაზე“.

- ✓ ივლისის თვეში ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა რამოდენიმე საჯარო ღერეცია:
- ❖ „საქართველო ევროპის რუკებზე“ - შეხვედრას უძღვებოდა სულხან სალაძე;
- ❖ „განათლება, როგორც შესაძლებლობა“ - შეხვედრას უძღვებოდა ლევან ბერძენიშვილი;
- ❖ „მუსიკა, როგორც თერაპია, მუსიკით მოყოლილი ამბები“ - შეხვედრას უძღვებოდა მუსიკოსი მებო ნუცუბიძე.



შეხვედრებზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლო და შეხვედრის ბოლოს დამსწრეებს შესაძლებლობა ჰქონდათ სპიკერებისთვის სასურველი კითხვები დაესვათ.

- ✓ ასევე ივლისის თვეში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „პოზიტიური მშობლობა“ ტრენინგი ჩატარა „მზიანი სახლის“ მოწვეულმა ტრენერმა თათია გოგიშვილმა.

საბოლოოდ, 2021 წლის მესამე კვარტალში, ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებული შეხვედრებით, ტრენინგებით და კურსებით სულ 297 ბენეფიციარმა ისარგებლა.

ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია - <https://www.facebook.com/AECAkhalsikhe>



## ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

**ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრში DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით 2021 წლის ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის თვეში მიმდინარეობდა და დასრულდა შემდეგი კურსები:**

- ❖ მაკიაჟის შემსწავლელი კურსი - სწავლა მიმდინარეობდა ივლისის თვეში 2 ჯგუფში. კურსი დაამთავრა 16-მა მსმენელმა;
- ❖ ბუღალტერიის შემსწავლელი კურსი - სწავლა მიმდინარეობდა 2 ჯგუფში. კურსი დაამთავრა 16 მსმენელმა;
- ❖ ინგლისური ენის კურსი (დამწყებთათვის) - კურსზე სწავლას აგრძელებს 12 მოსწავლე;
- ❖
- ❖ ინგლისური ენის კურსი (ელემენტარული) - სწავლას აგრძელებს 10 ახალგაზრდა;
- ❖ ჭრა-კერვის შემსწავლელი კურსი - სწავლა მიმდინარეობს 2 ჯგუფში. სულ ხელობას ეუფლება 18 ქალი;
- ❖ სუვენირების ქსოვის კურსი - კურსზე სწავლას აგრძელებს 13 გოგონა;
- ❖ ლიტერატურული კლუბი - კლუბის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 13 ახალგაზრდა;
- ❖ სადისკუსიო კლუბი - კლუბის მუშაობაში 14 ახალგაზრდაა ჩართული;
- ❖ რუსული ენის შემსწავლელი კურსი - კურსზე სწავლას აგრძელებს 10 მოსწავლე;
- ❖ კომპიუტერების შემსწავლელი კურსი - 8 ახალგაზრდა დაეუფლა კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევებს;
- ❖ შედუღების კურსი - სწავლა მიმდინარეობს 2 ჯგუფში - შედუღების უნარ-ჩვევებს ეუფლება 6 მამაკაცი;



- ❖ ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მასწავლებლებისათვის ჩატარდა ორი ონლაინ ტრენინგი თემაზე - ახალი სქემის ძირითადი მიმართულებები და როგორ გავაკეთოთ პორტფოლიო. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 22-მა მასწავლებელმა, როგორც ქართული, ისე აზერბაიჯანული სკოლებიდან.

### **სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულება:**

- ❖ ჩატარდა სამი ტრენინგი ახალგაზრდებისათვის თემებზე:
  1. ლიდერობა
  2. ეფექტური კომუნიკაცია
  3. კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები



- ❖ ჩატარდა ორი მასტერკლასი - როგორ შევქმნათ მოზაიკური ნამუშევრები;
- ❖ ჩატარდა აქცია - ახალი სიცოცხლე ძველ კედლებს (ახალგაზრდებმა მოხატეს ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ეზოს კედლები)

ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ახალგაზრდული მიმართულების კოორდინატორი ჩართული იყო ლელიანის ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტში „უნარები წარმატებისთვის“ და ასევე მონაწილეობა მიიღო დასკვნით ღონისძიებაში, რომელიც ჩატარდა ქ. ლაგოდებში.

### **ცენტრის სხვა პროექტები სწავლებისა და დასაქმების ცენტრი**

ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ბაზაზე გაიხსნა სწავლებისა და დასაქმების ხელშემწყობი ცენტრი. საზეიმო გახსნა მოეწყო 14 ივლისს. ამ დღეს ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრს სტუმრობდა 100-მდე ადამიანი, როგორც საჯარო, კერძო, არასამთავრობო და ბიზნესის სექტორის წარმომადგენლები, ისე დაინტერესებული აქტიური მოქალაქეები. მოწვეული სტუმრები დეტალურად გაეცნენ ცენტრების მუშაობას და აქტიური ჩართულობის სურვილიც გამოთქვეს.

სწავლებისა და დასაქმებიც ცენტრების შექმნა ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის "უნარების გაძლიერებისა და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის" ("Skill Building and Innovative job Opportunities for Regional Development of Georgia") ფარგლებში./,რომელსაც ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან და საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციასთან ერთად. პარტნიორი ორგანიზაციაა-ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

### მზის ენერგია ხალხის სამსახურში


ცენტრში ხორციელდება პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია მზის ენერგეტიკის სისტემის მონტაჟი ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის შენობის სახურავზე და ახალი სპეციალობის - მზის ენერგეტიკის ინსტალატორის კურსის დაწერგვა ცენტრში.

პროექტი მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის განვითარებისა და ამაღლებისკენ.

/ პროექტი, რომელსაც ახორციელებს ააიპ „საერთაშორისო ინოვაციური ტექნოლოგიები“ -დაფინანსებულია გერმანიის საელჩოს მიერ. პარტნიორი ორგანიზაციაა-ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრი/

ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია - <https://www.facebook.com/bolnisi.aec>





ქედის სათემო განათლების ცენტრი  
Keda Community Education Center

## ქედის სათემო განათლების ცენტრი

ქედის სათემო განათლების ცენტრში 2021 წლის ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის  
თვეში მიმდინარეობდა და დასრულდა შემდეგი კურსები:

- ❖ ფინანსური განათლების სემინარები - ფინანსური განათლების სემინარის მიზანია მოსახლეობას, და განსაკუთრებით ახალგაზრდებს, მიაწოდოს ინფორმაცია ფინანსური წიგნიერების ისეთ საკითხებზე როგორებიცაა: ფინანსური განათლება, ბიუჯეტირება, ბანკი და საბანკო პროდუქტები, სავალუტო რისკი, ინფორმაციის მიღება (ხელშეკრულება), სასარგებლო რჩევები.
- მხარდაჭერი/დონორი - ფონდი შპარკასე საქართველო.

კურსები DVV International-ის მხარდაჭერით:

- ❖ ინგლისური ენის ონლაინ კურსი - იანვარი-აგვისტო
- ❖ ქსოვის ონლაინ კურსი - აპრილი-ივნისი
- ❖ ხელსაქმისა და სუვენირების დამზადების ონლაინ კურსი - მარტი-აგვისტო
- ❖ მართვის მოწმობის ონლაინ თეორიული კურსი - მარტი-ივლისი
- ❖ გიფსო-კარდონზე მუშაობის კურსი - მარტი-ივნისი
- ❖ ლამინატის კურსი - აპრილი - ივლისი



ახალგაზრდული, კულტურულ-შემეცნებითი და სამოქალაქო აქტივობები

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ონლაინ შეხვედრები, რომლის ფარგლებში ხორციელდება ისეთი ტიპის ღონისძიებები, როგორებიცაა: პოეზიის საღამოები; შეხვედრები აგრო ბიზნესთან დაკავშირებით; დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე; სახელმწიფო დროში დღე; დედამიწის საათი; ბავშვების ციფრული უსაფრთხოება; მიკრომწვანილის წარმოება; ჯარას თაფლისა და ტყემლის წარმოება, შშმ პირთ საერთშორისო დღე და ა.შ

ქედის სათემო განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია -  
<https://bit.ly/3qzoqT0>

## ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით 2021 წლის ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის თვეებში მიმდინარეობდა და დასრულდა შემდეგი კურსები და აქტივობები:

- ❖ კონტენტ მენეჯმენტი - კურსი განკუთვნილია ოფისში დასაქმებული კადრებისთვის, ვისაც უწევთ სხვადასხვა მასალის გამზადება დიზაინერის და ქოფირაითერის ჩართულობის გარეშე.
- ❖ ინგლისური ენის კურსი;
- ❖ "უნარები წარმატებისთვის" - ზრდასრულთა განათლების ცენტრები ახალგაზრდების დასაქმების ხელშესაწყობად" პროექტის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე აქტივობა:
  - პირველ ეტაპზე, პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამი ტიპის კვლევა:
  - დირექტორების კითხვარი, რომლის მიზანი იყო დირექტორების აზრის გაგება და ზრდასრულთა განათლების ცენტრის ახალგაზრდული მიმართულების კოორდინატორების საჭიროებების განსაზღვრა;
  - ზრდასრულთა განათლების ცენტრების ახალგაზრდული მიმართულების/პროგრამის კოორდინატორების კითხვარი, რომლის მიზანი იყო, მათი საჭიროებების დადგენა და ანალიზი.
  - ახალგაზრდების საჭიროების კვლევა - ზრდასრულთა განათლების და სათემო ცენტრების ახალგაზრდული პროგრამის ინსტიტუციური განვითარება ახალგაზრდებში, თანამშრომლობითი და მომავლის კომპეტენციების უნარების განვითარების მხარდასაჭერად.
  - ❖ კვლევის მიხედვით, კოორდინატორებისა და ახალგაზრდების საჭიროებების გამოკვეთის და ანალიზის შემდეგ დაიწყო პროექტის მეორე ეტაპი, რომელიც



მოიცავდა „პერსონალური კომპეტენციები და საზოგადოებრივი ზრუნვის“ ერთ ტრენინგის. პარალელურად, მომზადდა ელექტრონული რესურსები.

კვლევის კოორდინატორებისა და მონაწილეების საჭიროებებიდან გამომდინარე, მომზადდა „კარიერული პორტფოლიო“ და 10 პრეზენტაცია, რომელიც გადაეცა ზრდასრულთა განათლების ცენტრებს, როგორ მზა/სამუშაო რესურსი. ასევე, დაიგეგმა სამი ონლაინ კურსი: პრეზენტაციების მომზადება, კონტენტ მენეჯმენტი, ციფრული პროექტების მართვა.

- ❖ ბოლო ეტაპი გახლდათ შემაჯამებელი ტრენინგი, ქალაქ ლაგოდეხში, რომლის მიზანი იყო პროექტის მონაწილეების ერთმანეთთან შეხვედრა/გაცნობა, რესურსების გადაცემა და პროექტის შეჯამება.

- ❖ მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა - GAEN-ის ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში ახორციელებს პროფესიული მომზადების პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს ზრდასრულ ადამიანთა ეკონომიკურ გაძლიერებას და დასაქმებას განათლების გზით. კურსის მიზანია 13 კვირის განმავლობაში მსმენელებს შესძინოს ჭრა- კერვის საბაზისო უნარები, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს შეკეროს ქალისა და მამაკაცის მოთხოვნადი ტანსაცმელი, ასევე საწოლისა და სუფრის თეთრეული. კურსდამთავრებულები, პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერтиფიკატს.
- ❖ IT - კომპიუტერის შემსწავლელი კურსი - კურსის ფარგლებში მსემენელები შეისწავლიან საოფისე პროგრამების გამოყენებას: ტექსტური დოკუმენტის მომზადება, მონაცემების დამუშავება ელ. ცხრილების მეშვეობით, თემატური პრეზენტაციების მომზადება, ელფოსტის გამოყენება, ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება-გადმოწერა და მოწყობილობების ქსელში ჩართვა/პერიფერიულ მოწყობილობებთან დაკავშირება.
- ❖ ბიზნეს სიმულაციის სამაგიდე თამაში - ტრენინგის ფარგლებში მინაწილები იღებენ საბაზისო ცოდნას ბიზნესის შესახებ. ეცნობიან ბიზნესის მართვის სხვადასხვა მიდგომებს. მონაწილეებს უწევთ მიიღონ გადაწყვეტილებები, დროისა და ახალი რეალობის შესაბამისად ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე. შედეგად, ისინი ახერხებენ მიღებული ცოდის და გამოცდილების რეალურ პირობებში გამოყენებას, საკუთარი მცირე ბიზნესის თუ საწარმოს განვითარებას. (ხორციელდება ფონდი შპარკასეს და dvv international-ის მიერ).


### კულტურულ-სპორტული პროგრამა

- ❖ ლელიანისა და აფენის თემის ახალგაზრდების სურვილის შესაბამისად, ეწყობოდა ფილმების ჩვენება. ფილმების დასრულების შემდეგ, ახალგაზრდები მართვდნენ მცირე დისკუსიას ფილმში გამოკვეთილი აქტუალური თემების შესახებ.
- ❖ კულტურული და სპორტული პროგრამის ფარგლებში ლელიანისა და აფენის ახალგაზრდებისთვის მოეწყო სპორტული აქტივობა - „ბოიარდი“. პანდემიის

პირობებში სოციალურ ურთიერთობების შეზღუდვების გამო ახალგაზრდები განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ სტესს და ურთიერთობების ნაკლებობას. აღნიშნული აქტივობა მათ დაეხმარათ ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში, რათა გარკვეულწილად გადაელახათ პანდემიით გამოწვეული სტრესი.

ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრმა აქტიურად დაიწყო ციფრული კურსების განხორციელება:

- ❖ ციფრული პროექტების მართვა
- ❖ პრეზენტაციების მომზადება
- ❖ გრაფიკული დიზაინი



- ❖ 17.09.2021 - გერმანიის საელჩოს ვიზიტი dvv international - თან ერთად. ადგილზე გაეცნენ ცენტრში მიმდინარე პროცესებს, მონიტორინგი გაუწიეს მიმდინარე კურსებსა და სხვადასხვა აქტივობებს. ინფორმაცია მიიღეს ასევე ონლაინ კურსების შესახებ. დღის ბოლოს დააგემოვნეს კახური სამზარეულოს კერძები.

სტუდენტებისთვის მოსამზადებელი პროგრამა - კურსი განკუთვნილია აბიტურიენტებისა და სტუდენტებისთვის. კურსის განმავლობაში მსმენელები შეისწავლიან:

- 1) CV და სამოტივაციოს გამზადება
- 2) გუგლის აპლიკაციების გამოყენება
- 3) ტექსტთან მუშაობა: რა უნდა ვიცოდეთ პროფესიონალური ნაშრომის გასაკეთებლად
- 4) პრეზენტაციის შექმნა: როგორ შევქმნათ ეფექტური პრეზენტაცია

ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია: [https://www.facebook.com/LelianiAEC/?ref=page\\_internal](https://www.facebook.com/LelianiAEC/?ref=page_internal)



კოდის სათემო განათლების ცენტრი  
Koda Community Education Center

## კოდის სათემო განათლების ცენტრი

კოდის სათემო განათლების ცენტრში DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით 2021 წლის ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის თვეში მიმდინარეობდა და დასრულდა შემდეგი კურსები და აქტივობები:

- ❖ ფართო პროფილის და სარემონტო სამუშაოების კურსი;
- ❖ მეტალო-პლასმასის კარ-ფანჯრების დამზადების შესწავლის კურსი - ჩატარდა 2 ჯგუფი და ჩართული იყო 20 ბენეფიციარი, მიმდინარეობს მე-3 ჯგუფი, სადაც სწავლებას გადის 10 ბენეფიციარი. სწავლობენ უსაფრთხოების წესებს, მეტალო პლასმასის დამუშავებას, კარ-ფანჯრების გაკეთებას, ჩასმას. გადიან, როგორც თეორიულ სწავლებას ასევე პრაქტიკულ ცოდნას იღებენ საწარმოს შეკვეთების შესრულების დროს. ერთმა კურსდამთავრებულმა უკვე გახსნა მინი საწარმო.
- ❖ ბუღალტერიის კურსი;
- ❖ სამართალი „ვიცოდეთ ჩვენი უფლებები“
- ❖ ბავშვთა პროგრამა;
- ❖ მცირე ბიზნესის კურსი - ცენტრში მიმდინარეობას განაგრძობს მცირე ბიზნესის კურსი, სექტემბრის თვიდან მე-3 ჯგუფმა დაიწყო ფუნქციონირება. ჯგუფის მსმენელები გადიან ბიზნესის მართვას, პროექტის წერის ტექნიკას და ბიუჯეტირებას. ჯგუფში არის 10 მსმენელი.
- ❖ ინგლისური ენის გაკვეთილები ბავშვებისთვის;
- ❖ ინგლისურის კურსის III დონე;
- ❖ ახალგაზრდული კლუბი;
- ❖ შინმოვლის კურსი;
- ❖ ტიხოული მინანქრის კურსი;
- ❖ გრაფიკული დიზაინის კურსი - აგვისტოს თვეში დაიწყო გრაფიკული დიზაინის ონლაინ კურსი. კურსის მსენელები ეუფლებიან როგორც ქორელის პროგრამას, ასევე სხვა დამხმარე პროგრამებით ფლაერებისა და ბანერების აწყობის დიზაინს. კურსს გადის 15 მსმენელი.
- ❖ ქართული ფოლკლორის შემსწავლელი კურსი;
- ❖ ექიმის კონსულტაცია;
- ❖ იურისტის კონსულტაცია - კოდის სათემო განათლების ცენტრში აგვისტოს თვიდან დაიწყო იურისტის კონსულტაცია. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია

მიიღოს უფასო კონსულტაცია. აგვისტოდან სექტემბრის ბოლომდე კონსულტაცია გაიარა 95 ბენეფიციარმა.

- ❖ ფინანსური განათლების კონსულტაცია;
- ❖ მეწარმეობის კურსი;
- ❖ ბალის დიზაინის კურსი;

### ღონისძიებები

- ❖ **ღონისძიება „წამო თეთრიწყაროში“** - 2021 წლის 4 ივლისს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით და კოდის სათემო განათლების ცენტრის პარტნიორობით გაიმართა გამოფენა, ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით, ქ.თეთრიწყაროში, „ციყვების პარკში“ სახელწოდებით „წამო თეთრიწყაროში“. გამოფენაზე ნაჩვენები იყო ის ტურისტული რესურსები, რაც რეგიონს გააჩნია. კოდის სათემო განათლების ცენტრმა გამოფინა, როგორც ხელნაკეთი ნივთები, ასევე ტრადიციული კუთხური კულინარიული ნაწარმი.



გამოფენას დაესწრო, როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური ხელისუფლების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე

დაჯილდოვდა კოდის სათემო განათლების ცენტრი და ცენტრის დირექტორი მადონა

ოქროპირიძე მუნიციპალიტეტის ღირსეული წარმოჩენისა და პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის.

- ❖ **საერთაშორისო ფესტივალი „ნარინჯის ფერი ქობულეთი“** - კოდის სათემო განათლების ცენტრის ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მშვიდობის მტრედები“, ტრენერი ლუიზა დუდაევა-ასკილაშვილი, მონაწილეობა მიიღო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში, რომელიც გაიმართა ქობულეთში, 2021 წლის 16 ივლისს. სადაც ჟიურისა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა და მოიპოვა გრამპრი.
- ❖ **„არტგენი“ დმანისში - არტ-გენი** 2021-ის ფარგლებში დმანისში, პანტიანის ტბაზე გაიმართა ფესტივალის დასკვნითი რეგიონული ტურნეს დახურვის ღონისძიება. აღსანიშნავია, რომ ფესტივალზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი. ა(ა)იპ კოდის სათემო განათლების ცენტრმა წარმოადგინა საგამოფენო სივრცეში ტრადიციული რეწვისა და ხელნაკეთი ნივთები.
- ❖ **8 აგვისტოს გასვლითი ღონისძიება** - კოდის სათემო განათლების ცენტრის ორგანიზებით მოეწყო 8 აგვისტოს გასვლითი ღონისძიება მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე და შინდისის გმირების მემორიალზე. ღონისძიებაში მონაწილეობა

მიიღეს ახალგაზრდული და ქალთა კლუბის წევრებმა. ჩართული იყო 21 ბენეფიციარი.

- ❖ ევროპელი და ქართველი სტუდენტების ვიზიტი - კოდის სათემო განათლების ცენტრმა 14 აგვისტოს უმასპინძლა ევროპელ და ქართველ სტუდენტებს. სტუდენტებმა დაათვალიერეს ცენტრი და გაეცნენ ცენტრის მუშაობას ადგილზე. ღონისძიება მოეწყო GIPA-ს ორგანიზედბით და მონაწილეობას იღებდა 70 სტუდენტი რეგულაციების დაცვით. უნივერსიტეტთან კოდის სათემო განათლების ცენტრს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ყოველწლიურად საგანმანათლებლო ერასმუს პლიუს პროგრამის ფარგლებში კოდის სათემო განათლების ცენტრს სტუმრობენ სტუდენტები საზღვარგარეთიდან. ეწყობა ვორქშოპები.
- ❖ მოხალისეს პირველი ვიზიტი - კოდის სათემო განათლების ცენტრს ეწვია ინგლისელი მოხალისე. პირველი შეხვედრა მოეწყო ცენტრის ადმინისტრაციასთან და ახალგაზრდული კლუბის წევრებთან. მოხალისე ცენტრში დარჩება 4 თვით და იმუშავებს ახალგაზრდულ კლუბთან და ბავშვთა პროგრამის მონაწილეებთან, ასევე მოხალისე ინგლისური ენის შემსწავლელ კურსის ტრენერს დაეხმარება და ჩართული იქნება კურსში.
- ❖ ტრენინგები: „რა უნდა ვიცოდეთ არჩევნების შესახებ“ –
- ❖ ონლაინ შეკვეთები - შექმნილმა ეპიდვითარებამ გავლენა მოახდინა კოდის სათემო განათლების სოც. საწარმოების მუშაობაზე. საწარმოწ ძირითადათ გადასულია ონლაინ შეკვეთებზე. მუშაობა არ შეჩერებულა პარტნიორებთან. საწარმომ აგვისტოს თვეში შეასრულა თექის ხელნაკეთი ბუების შეკვეთა და გაგზავნა შვედეთში. საწარმოში დამზადებულ ხელნაკეთმა ნივთებმა მოწონება დაიმსახურა.



კოდის სათემო განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია - <https://bit.ly/2TEYpp7>



ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი  
Ambrolauri Adult Education Center

## ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში 2021 წლის ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის თვეში მიმდინარეობდა და დასრულდა შემდეგი კურსები და აქტივობები:

- ❖ საინფორმაციო შეხვედრა: საქართველოს სახალხო დამცველის სერვისების ინფორმირება და ხელმისაწვდომობა - საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა გააცვნეს თავიანთი სერვისები და მოისმინეს ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები და სტრუქტურული ხარვეზები.
- ❖ სასწავლო კურსი: „ტყის გამოყენების მრავალფუნქციური პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა“ - ტყის ხანძრების ჩაქრობის ორგანიზებასა და ტაქტიკაშიც გადამზადდება. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მომზადებული პროგრამა, თეორიულ ნაწილთან ერთად, პრაქტიკულ სწავლებასაც მოიცავს. მხარდამჭერი: გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობა.
- ❖ ტრენინგი: „ქალების ძალაუფლება ინკლუზიისთვის“ - ტრენინგზე ქალებს/გოგონებს შესაძლებლობა ჰქონდათ აემაღლებინათ ცნობიერება/ცოდნა რათა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარად მონაწილეობდნენ და პატრიარქალური ცნობიერება, თუ სტერეოტიპები შეცვალონ.



ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ფეისბუქ ჯგუფის მისამართია -  
<https://www.facebook.com/groups/692071420959254>



## ჯვარის სათეატრო განათლების ცენტრი

ჯვარის სათეატრო განათლების ცენტრში DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით 2021 წლის ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის თვეში მიმდინარეობდა და დასრულდა შემდეგი კურსები და აქტივობები:

მიმდინარე აქტივობები და პროფესიული განხორცილდა, როგორც ოფისში, ასევე ონლაინ. პანდემია კვალვ დარჩა მთავარ გამოწვევად, თუმცა ცენტრმა მოახერხა მუშაობა გაეგრძელებინა მნიშვნელოვანი შეფერხებების გარეშე.

### ინდივიდუალური და პროფესიული გადამზადების კურსები

- ❖ თექის სასწავლო კურსი;
- ❖ ცეკვის კურსი - სასწავლო კურსზე სწავლება გაიარა 10 მსმენელმა. სასწავლო კურსი მოიცავდა აერობიკის ელემენტებს, ასევე სამეჯლისო ცეკვების ილეთებს. პირველი შემთხვევა იყო დასახლებაში როცა ცეკვის კურსი გაიხსნა ზრდასრულებისთვის. მსმენელებმა გამოხატეს მადლიერება. აღნიშნეს, რომ კურსზე მათ შეძლეს მიეღოთ, როგორ ფიზიკური, ასევე სულიერი განტვირთა.
- ❖ ოფისმენეჯერის სასწავლო კურსი;
- ❖ ინგლისურის კურსი - სწავლებას გადიოდა 2 ჯგუფი, სულ ირიცხებოდა 23 მონაწილე. ჯგუფები დაკომპლექტებული იყო სხვადსხვა ასაკის მონაწილეებით, გამორჩეული იყო ერთი ჯგუფი სადაც სწავლებას გადიოდნენ შვილები და მშობლები. მშობლების მიზანი იყო მიეღოთ ცოდნა იმისათვის, რომ შეძლებოდათ შვილებს დახმარებოდნენ სასკოლო გაკვეთილების მომზადებაში. კურსზე სწავლება



REDMI NOTE 9  
AI QUAD CAMERA

მიმდინარეობდა საინტერესოდ, გამოყენებული იყო სწავლების სხვადსხვა მეთოდი, მათ შორის როლური თამაშები, ტესტირება და სხვა.

- ❖ ფინანსური განათლების კურსი;

### **საჯარო შეხვედრები და დისკუსიები**

- ❖ ცენტრის მიზანია ყოველთვიურად მოსახლეობას შევთავაზოთ მათვის საინტერესო საკითხებზე საჯარო შეხვედრები, აუმაღლოს მათ სამოქალაქო თვითშეგნება, ხელი შეუწყოს მათი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაზრდას. ცენტრი ნერგავს თემში აქტუალური საკითხების საჯაროდ განხილვის კულტურას, ცდილობს შეხვედრების თემები იყოს მათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი. შეხვედრები ჩატარდა შემდეგ საკითხებზე: „რუსული ოკუპაცია და მისი შედეგები“, „კოვიდ პანდემია და განათლება“, „ვაქცინაციის საჭიროება და მნიშვნელობა“. შეხვედრებზე განხილული იყო ყველა ის საკითხი, რაც აწუხებს მოსახლეობას. მათ მიეცათ შესაძლებლობა დაეფიქსირებინათ კონკრეტულ საკითხებზე საკუთარი აზრი და ერთობლივარ ემსჯელათ გამოსავლის გზებზე. შეხვედრებს სულ დაესწრო 30 ბენეფიციარი.



### **ახალგაზრდული პროგრამები**

- ❖ „ხატვის დღე“, ტრენინგი თემაზე: „პრეზენტაციის ტექნიკები“, საჯარო შეხვედრა თემაზე: „რუსული ოკუპაცია“, ფილმის ჩვენება: „გენერალური გეგმა“ - ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართული აქტივობებებში, ისინი იძენენ ახალ უნარჩვევებს, მსჯელობენ მათვის საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე. სწავლობენ ანალიზის და კრიტიკული აზროვნების უნარს. ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ცვლიან ინფორმაციას. პატარა მონაწილეებს ეძლევათ შესაძლებლობა დრო გაატარონ სახალისოდ და საინტერესოდ. სულ მონაწილეობა მიიღო 60 მონაწილემ.



## „დემოკრატიული მდგრადობის გაძლიერება საქართველოში“ და „დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების ამაღლებით“

- ❖ პროექტის ფარგლებში დაფინანსდა ჯვარის სათემო აგნათლების ცენტრის ახალგაზრდების და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლების მიერ შემუშავებული საერთო ინიციატივები. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 3 საპროექტო განაცხადი: „ქალაქ ჯვარის ახალგაზრდებში ყალბი ინფორმაციის გავრცელების მაღალი მაჩვენებელი“, „ჩვენ და ვიბერუსაფრთხოება“, „ქალაქ ჯვარში ახალგაზრდების დაბალი ჩართულობა არჩევნებში“. პროექტი ხორციელდება ორგანიზაციის PEOPLE IN NEED მხარდაჭერით და ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს TRANSITION (ტრანზიშენ) პროგრამის და USAID -ის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში.
- პროექტი გამორჩეულია იმით, რომ ჯვარის ცენტრის ახალგაზრდებს მიეცათ შესაძლებლობა თავად წარედგინათ დონორისთვის ინიციატივები საპროექტო განაცხადის სახით. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მაშტაბით ახალგაზრდები სხვადსხვა ორგანიზაციებიდან. ჯვარის ცენტრის ახალგაზრდული კლუბის წევრების მიერ წარდგენილი 3 საპროექტი განაცხადი დაფინანსდა. პროექტის მთავრი ორგანიზატორები არაინ თავად ახალგაზრდები. მათ ეძლევათ შესაძლებლობა ცეტრის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, პროექტების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში იყვნენ მაქსიმალურად ჩართული. რითაც სწავლობენ პროექტის იმპლემენტაციისთვის საჭირო უნარ-ჩვეულებს, იღებენ უდიდეს ცოდნას და გამოცდილებას. პროექტის ფარგლებში შედგა ონლაინ შეხვედრა გიორგი მშვენიერაძესთან თემაზე: „არჩევნებში ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობა და არჩევნების გამჭვირვალობის მნიშვნელობა დემოკრატიის განვითარებაში“. ერთ-ერთი პროექტის ორგანიზატორმა ნინო რუხაიამ მიიღო მონაწილეობა რადიო „ათინათის“ დილის გადაცემაში, სადაც ისაუბრა პროექტის შესახებ. ასევე მათ მოამზადეს ვიდეო რგოლი არჩევნებზე და გაუზიარეს ახალგაზრდებს, რითაც კიდევ ერთხელ მოუწოდეს მათ არჩევნებში მონაწილეობისკენ. დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტი არჩევნების მნიშვნელობაზე, მოქალაქეების ჩართულობის აუცილებლობაზე და დარიგდა თემში.
- ❖ შვეიცარიული ორგანიზაცია Ertad.Gemeinsam -სა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრს შორის თანამშრომლობის ფარგლებში 2021 წლის 5-19 ივლის მოეწყო საზაფხულო სკოლა ზუგდიდის „ქართულ - გერმანულ სახლში „ (GDH), სადაც მონაწილეობა მიიღეს ქ. ჯვარის და ლიის თემის სკოლის მოსწავლეებმა. სულ მონაწილეობა მიიღო 17 მონაწილემ. პროექტი განხორციელდა Ertad.Gemeinsam-ის ფინანსური მხარდაჭერით. მონაწილეებს ქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ გერმანულ ენას და კულტურას, მიეღოთ მონაწილეობა გასართობ და შემეცნებით ღონისძიებებში.

ჯვარის სათემო განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია -  
<https://www.facebook.com/jvari.cec>